მალხაზ მაცაბერიძე

ქართული პოლიტიკური აზრი

სალექციო კურსი

თემა 5

XIII-XV საუკუნეების პოლიტიკური აზრი

თბილისი

2019

შინაარსი

შესავალი 3
1. საქართველოს დიდი გეგმები 4
1.1."ყოველთა ქრისტიანეთათვის" ზრუნვა 5

1.2. ბიზანტიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის
იდეოლოგიური დასაბუთება.....5

1.3.საქართველო და დასავლეთი XIII საუკუნის დამდეგს 6

1.4. განსაცდელის მოლოდინი 8

2. "სვესვიანი ბედის" უკუქცევის მიზეზების ძიება.....9

2.1. ქრისტიანული პროვიდენციალიზმი.....10

2.2. ღმერთის მიერ თავისი ერის დასჯა ცოდვების გამო.....12

2.3. დავა ლაშა-გიორგის პიროვნების გარშემო.....14

3. ქართული პატრიოტიზმი.....15
3. 1. აუტანელი მარცხის განცდა 15

3. 2. ახალი სახის გმირები: ცოტნე დადიანი და დემეტრე
თავდადებული 16

3.3. ჟამთააღმწერელი: ქართველების დახასიათება 17

3.4. ბექა მანდატურთუხუცესის სიტყვა 18

3.5. კუთხურობის მომძლავრება.....19

3.6. აზროვნების გაორება და მტრის მსახურება, მედროვეობა20

4. "ყოველი საქართველოს" აღდგენის მცდელობანი.....21
4.1. საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაზე ხელის აღება - 1490 წლის სამეფო დარბაზი 23

5. საერთაშორისო ურთიერთობები და მოკავშირის ძიება.23
5.1. ქართული ეკლესიის პოზიცია, უარი საეკლესიო უნიაზე 24

5.2. ბიზანტიის დაცემა და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა.....26

5.3. ესპანეთთან დაკავშირების მცდელობა 27

5.4. რუსეთთან დაკავშირების მცდელობა 29

5.5. მფარველის ძიების დასაწყისი 30

შესავალი

XIII საუკუნის დამდეგს საქართველო თავის ძლიერების ზენიტ-ში იმყოფებოდა. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სა-ხელმწიფო დიდ სამომავლო გეგმებს ისახავდა, XV საუკუნის ბოლოს კი საქართველო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა და მთელი შემდგომი პერიოდი ყოფნა-არყოფნის ზღურბლზე მდგომ ქვეყანას გა-დარჩენისათვის უმძიმესი ბრძოლა უხდებოდა. ამ პერიოდში საქართველო დიდ პოლიტიკურ, მატერიალურ და სულიერ კრიზისს განიცდიდა.

ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევებმა, დამპყრობთა საუკ-უნოვანმა ბატონობამ, ისევე როგორც მომდევნო საუკუნეების ძნელბე-

დობამ განაპირობა მოცემული პერიოდის წყაროების უკიდურესი სიმცირე, რომელთა მეშვეობითაც იმდროინდელი პოლიტიკური აზრის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ. ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანის შემდეგ, ფაქტობრივად XIII საუკუნის არცერთ ისტორიულ თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ პერიოდის პოლიტიკური აზრის შესახებ პირველ რიგში ჟამთააღმწერლის "ასწლოვანი მატიანის" მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომელიც მთლიანობაში არ შემონახულა. მემატიანის ვინაობა უცნობია, თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ ანონიმი მემატიანე წარმოშობით მესხეთიდანაა, სასულიერო პირია, სამეფო კართან და ჯაყელებთან ძლიერ დაახლოებული და შესაძლოა, მისივე მატიანეში დასახელებული მღვდელ-მონაზონი მოსე იყოს.[1]

ამ ეპოქის საინტერესო დოკუმენტია "ხელმწიფის კარის გარიგება", რომელშიც წარმოდგენილია მეფის ცხოვრების, მისი გამოსვლების და ცერემონიების ეტიკეტი, დამახასიათებელი აბსოლუტური მონარქიისათვის. "გარიგების" მიხედვით, მეფის ყოველი ნაბიჯი, ცხოვრების ყოველი წვრილმანი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

1. საქართველოს დიდი გეგმები

XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს ხელისუფლება ამბიციურ ამოცანებს ისახავდა, რომელთაც, მოვლენათა შემდგომი განვითარების გამო, განხორციელება არ ეწერა.[2] ამ განუხორციელებელი ამოც-

---

[1] ვ.კიკნაძე. საქართველო XIV საუკუნეში. თბ., 1989. გვ.175.

[2] ამ გეგმების თაობაზე ერთ-ერთი თანამედროვე ისტორიკოსი წერს: "სურთ ბაღდადის, მთელი მუსულმანური სამყაროს ცენტრის აღება და იქ ქართველთა კათალიკოსის დასმა ხალიფას ნაცვლად. მეორე მიზანია იერუსალიმის განთავისუფლება ურწმუნოებისაგან. სამწუხაროდ, თამარის ქარაფშუტა შვილებმა ქართველთა დიდი დედოფლის მიერ უკვე მეტად მაღალ საფეხურზე აყვანილი სახელმწი-

ანების თუნდაც მოკლე განხილვა მნიშვნელოვანია იმდროინდელი იდეურ-პოლიტიკური ვითარების წარმოსაჩენად.

1.1."ყოველთა ქრისტიანეთათვის" ზრუნვა

საქართველოს სამეფოს ძლიერების ზრდასთან ერთად, ქართული ქრისტიანული სახელმწიფო იდეოლოგია უფრო ამბიციური გახდა. თუ არაბების ბატონობის ხანაში უმთავრესი ამოცანა სარწმუნოების შენარჩუნებაზე ზრუნვა იყო, თამარის მეფობის დროს საქართველო თავის ამოცანად მიიჩნევდა მსოფლიოს ქრისტიანებზე ზრუნვას. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი აღნიშნავს, რომ თამარი ზრუნავდა არა მხოლოდ საკუთარი სამეფოს გამო, "არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის. და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა: ყოველთა მიუმცნო, რათა ანაზდად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდნენ შიშითა და სიყვარულითა მისითა".

თამარის დროს ქართველთა ბრძოლა უკვე მსოფლიო ქრისტიანობის დაცვის კონტექსტში მიმდინარეობს. როგორც ჩანს, უკვე თამარის მეფობის დროს ჩნდება და ლაშა-გიორგის მეფობის დროს საბოლოო სახეს ღებულობს იდეა იერუსალიმის ურწმუნოთაგან დახსნისა, ან მაჰმადიანთა მთავარი ქალაქის ბაღდადის დამხობისა, სადაც ხალიფას ნაცვლად ქართველთა კათალიკოსის დასმა სურდათ (ჯუვეინის მიხედვით). თუმცა, ასევე გასათვალისწინებელია ქართველ მეფეთა შემწყნარებლობა და ტოლერანტობა.[3]

1.2. ბიზანტიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის იდეოლოგიური დასაბუთება

იმდროინდელ საქართველოში არსებული ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იყო **ტრაპიზონის იმპერიის** დაარსების დასაბუთება. საქართველომ, რომელიც აღმოსავლურ-ქრისტიან-

---

ფო განსაცვიფრებელი სისწრაფით დაანგრიეს..." (ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.62)

[3] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.14-15

ულ სამყაროს ეკუთვნოდა, "წესრიგის დამყარება" დაიწყო ბიზანტიის კუთვნილ მიწებზე და, ფაქტობრივად, ჯვაროსნებთან ერთად ბიზანტიის დანგრევაში მიიღო მონაწილეობა. ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ლაშქრობის საფუძველიც წმინდა რელიგიურია. ქართველი ისტორიკოსის თანახმად, ბიზანტიის "უღმერთო" იმპერატორმა გაძარცვა თამარ მეფის მიერ დასაჩუქრებული ბერები. სწორედ ქრისტიანობის ღირსების აღსადგენად, ღმერთისთვის სასურველი საქმის გასაკეთებლად შევიდა თამარის ჯარი ბიზანტიაში. აღსანიშნავია, რომ ის იმპერატორი, რომელმაც თამარის მიერ დასაჩუქრებული ბერები გაძარცვა, ქართული ჯარის ბიზანტიაში შეჭრის დროისათვის უკვე რვა-ცხრა თვის ჩამოგდებული იყო ტახტიდან, მაგრამ ბიზანტიაზე ლაშქრობას რელიგიული დასაბუთება უნდა დასდებოდა საფუძვლად.

1.3.საქართველო და დასავლეთი XIII საუკუნის დამდეგს

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ აღმოსავლურ-ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენელი მძლავრი საქართველო და დასავლეთ ევროპა ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. თუმცა მათ შორის არ იყო ის ანტაგონიზმი, რაც ბიზანტიასა და დასავლურ სამყაროს ყოფდა. საქართველოს სამეფო რომის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე და რომის იმპერიის ევროპულ მიწებზე პრეტენზიას არ აცხადებდა. არც საქართველოს პატრიარქს ქონდა მსოფლიო ქრისტიანობის სულიერი ლიდერობის პრეტენზიები, რაც რომის პაპის ავტორიტეტს ეჭვქვეშ დააყენებდა.[4]

---

[4] ბიზანტიასა და რომის პაპს შორის დავაში ქართული ეკლესია იმთავითვე არ ჩარეულა. ქართველები კარგად ხედავდნენ ღვთის მსახურების წესში არსებულ განსხვავებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანებს შორის, მაგრამ ქართული ეკლესია იმჟამად ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა რიტუალურ განსხვავებებს და მათ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების განსხვავებული განვილი ისტორიული გზით ხსნიდა. ქართული ეკლესია სქიზმის (1054 წელი) შემდგ კიდევ 200 წელი ექვს პატრიარქს ასახელებდა და, ამგვარად, საქარ-

XIII საუკუნის დამდეგს საქართველოსა და დასავლეთს არაფერი ქონდათ გასაყოფი. სამაგიეროდ არსებობდა ინტერესთა თანხვედრა და ერთობლივი ჯვაროსნული ომით წმინდა მიწების განთავისუფლების სურვილი. სწორედ ამით აიხსნება ისტორიული წყაროებით შემონახული ფაქტები: ლაშა-გიორგი და რუსუდანი ცოდვათა შენდობას სთხოვენ რომის პაპს და ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის სანაცვლოდ რომის პაპი მიუტევებს ქართველებს ცოდვებს.[5]

რუსუდან დედოფალი რომის პაპს ჰონორიუსს წერდა: "უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფევ, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო, საქართველოს თავმდაბალი დედოფალი რუსუდანი, ერთგული მსახური და შენი ასული ფერხთა წინაშე შენთა თავს ვხრი და მოგესალმები... ვაუწყებთ შენს უწმინდესობას, რომ ძმა ჩემი, ქართველთა მეფე (ლაშა-გიორგი), გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა. ასე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანისათვის...

დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს (ფრიდრიხ მეორეს) მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ეხლა სირიაში წავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედარმთავარ ივანეს მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად ჩამოვლენ იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას... ამისათვის ვევედრებით და ვთხოვთ შენს უწმინდე-

---

თველოს კათალიკოს-პატრიარქის გარდა, დანარჩენ ხუთში რომის პაპსაც გულისხმობდა. რომის პაპის პატრიარქად მოხსენიება საქართველოში XIV ს-ის დასაწყისიდან შეწყდა. 1318 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი დამოუკიდებელი საეკლესიო ორგანიზაცია შექმნა მონღოლთა ილხანთა სახელმწიფოში და ამით ის ქართული ეკლესიის თვალში საბოლოოდ გაემიჯნა მართლმადიდებლურ სამყაროს (თ.ბერაძე, მ.სანაძე. საქართველოს ისტორია. წიგნი I, თბ., 2003, გვ.193)

[5] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.129

სობას, მოგვწეროს თავისი წერილი და გვიბოძოს თავისი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს...".[6]

1.4. განსაცდელის მოლოდინი

ლაშა-გიორგის მატიანე, როგორც ჩანს, რუსუდანის გამეფების პირველ წელს არის დაწერილი. მემატიანეს აფიქრებდა საქართველოს პოლიტიკური მომავალი, აწუხებდა ტახტის კანონიერი მემკვიდრის გარეშე დარჩენილი სამეფოსა და სამშობლოს ბედ-იღბალი.[7] მას ღმერთის იმედი ჰქონდა და ამბობდა: "ღმერთმან... დაიცავნ სამეფო ესე"-ო.

ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე ყოველმხრივ დადებითად ახასიათებდა საქართველოს ახალგაზრდა მეფეს: "მეფედ დაჯდა ნერგი კეთილი - მოზარდი და ყუავილი ყოველთა ფერთაგან შემკობილი, ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყუარული ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა". თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, მან თავი გამოიჩინა როგორც გაჭირვებულთა გამკითხველმა, ბჭემ და მოსამართლემ, ფლობდა ყველა იმ თვისებას, რაც უნდა ქონდეს ხელმწიფეს, ამავე დროს, ბუნებით "მშვიდი და განურისხებელი", უაღრესად კაცთმოყვარე იყო. როგორც მემატიანე წერს, "შვიდთა სამეფოთა მეფე, მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი...".[8]

მემატიანის დახასიათებით, თამარ მეფის დროს საქართველოს სამეფო იყო ისე თავისუფალი და მდიდარი, „რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“. ლაშა გიორგის დროსაც „იყო სამეფო მისი დიდსა დაწყნარებასა შინა“, მაგრამ „შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე სომხითს და ჰერეთს, ევნოთ რამე მცირედი მათგანცა..., და პირველი წყლულება მათგან იქმნა“.

---

[6] ი.ტაბაღუა. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI საუკუნეები). თბ., 1984, გვ.176-177

[7] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად, ტ.VIII, გვ.244.

[8] ქართლის ცხოვრება, ტ.1, 1955, გვ.370.

ლაშა-გიორგიმ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე მეფობისა, შეძლო დაეცვა სახელმწიფოს ერთიანობა და წინააღმდეგობა გაუწია ქვეყანაში შემოჭრილ მონღოლთა მოწინავე ლაშქარს.

საქართველოს მომავლის იმედად მემატიანეს რუსუდანი მიაჩნია და ზეცას შეჰღაღადებს, ღმერთმა დაიცვას "მეფე ჩუენი... რუსუდან... და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა"-ო. როგორც ივ, ჯავახიშვილი აღნიშნავს, "ამ სტრიქონების დაწერის დროს მან ჯერ არ იცოდა, თუ რაოდენ ვნებას მოუტანდა სახელმწიფოს რუსუდანის თავშეუკავებელი ვნებათა-ღელვა და უდარდელი მართვა-გამგეობა"[9]

2. "სვესვიანი ბედის" უკუქცევის მიზეზების ძიება

მონღოლთა პირველი გამოჩენა და მათთან გადატანილი მძიმე ბრძოლები, როგორც ჩანს, თავიდან დროებით წარუმატებლობად ჩათვალეს საქართველოში. მაგრამ ამას, სულ მალე, ხვარაზმელთა თავდასხმა და საქართველოს საშინელი აოხრება მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კი საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ. ხვარაზმელებთან და მონღოლებთან დამარცხებამ ძირფესვიანად შეცვალა საქართველოს მდგომარეობა. ძლიერება და კეთილდღეობა, ბედნიერი მომავლის რწმენა პესიმიზმმა და სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ასეთი განწყობილება კარგად აისახება ჟამთააღმწერლის სიტყვებში: "იქმნა უკუქცევა სუე-სვიანისა ბედისა, მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ ვინათგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდებისა დავითისდა გამარჯვება, აქა ჟამამდე სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არასადა ძლეულ იყო. ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამთამდე ჩუენთა".[10]

---

[9] ივ. ჯავახიშვილი. თხზ. თორმეტ ტომად, ტ.VIII, გვ.244.

[10] ქართლის ცხოვრება, ტ.II, გვ.165.

აღსანიშნავია, რომ ჟამთააღმწერლისათვის "სუე-სვიანი ბედის" უკუქცევა უკვე განვილი ეპოქაა და იგი "ასწლოვანი ძნელბედობის" დადგომის მიზეზებში გარკვევას მას შემდეგ ცდილობს, რაც საქართველომ თითქოსდა შეძლო ძნელბედობისთვის თავის დაღწევა. ჟამთააღმწერელის იდეალი გიორგი ბრწყინვალეა, რომელმაც საქართველოს დაუბრუნა თამარ მეფის დროინდელი ძლიერება. ავტორი მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის მიმართ ხმარობს მაღალ ეპითეტებს: "უძლეველი", "დიდი", "სახელგანთქმული", "უმჯობესი ყოველთა", "ბრწყინვალე" და სხვა.

2.1. ქრისტიანული პროვიდენციალიზმი

"სუე-სვიანი ბედის" უკუქცევის, ქართველთა ძლიერების ანაზდეული დაცემის მიზეზების ძიება იმ პერიოდის ქართული პოლიტიკური აზრის ერთ-ერთი უმთავრესი თემა იყო. მასზე პასუხის ძიება ხდებოდა ქრისტიანული პროვიდენციალიზმიდან გამომდინარე. ამ რელიგიური იდეის თანახმად, ყველაფერი, რაც ქვეყნად ხდება, წინასწარ ღმერთის განგებით არის გათვალისწინებული. ამასთან, ქვეყნის მესვეურთა თუ თავად ხალხის ნებისმიერი ცდომილება, ბოროტებისკენ გადახრა სათანადოდ ისჯება უზენაესის მიერ.

XIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის **აბუსერიძე ტბელის**[11] თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა გიორგისანი“ ასახულია ხვარაზმელთა თავდასხმის შედეგად შექმნილი ძნელბედობა. ხვარაზმელთა თავდასხმა და ქართველთა დამარცხება, აბუსერიძე ტბელის აზრით, ქართველთა ცოდვების გამო მოხდა: „ოდეს, მოგებისათვის ცოდვათა ჩვენთაისა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოისა ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხვარაზმელთაისა, გამოქცევასა და მოწყვედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცის-

[11] აბუსერიძე ტბელი იყო აჭარის ერისთავთ-ერისთავის ივანე აბუსერიძის შვილი

შვილთასა, წარტყვენასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისასა და ემეტეს ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოისათა“.[12]

აბუსერიძე ტბელი ერთიან საქართველოზე ფიქრობდა და მის ბედზე სწუხდა. მისი აზრით, ასეთი ძნელბედობის დროსაც ერის-კაცებმა თავიანთ ერთ-ერთ უპირველეს საქმედ ტაძართა მშენებლობა უნდა მიიჩნიონ. ეკლესიები შენდებოდა „სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსათა“, „სალოცველად გარდასრულთა ჩვენთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩვენთა და ხსენებად პაპისა ჩვენისა“, „მფარველად ორისავე ცხოვრებისა“.[13]

ქრისტიანული პროვიდენციალიზმის იდეაა გატარებული ჟამ-თააღმწერლის თხზულებაში. ამით ხსნის მემატიანე საქართველოში მომხდარ ყველა უბედურებას - ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსე-ვებს, გაჭირვებას, შიმშილობას და შავი ჭირის ეპიდემიას. თავსდამ-ტყდარ უბედურებათა მიზეზს იგი ხედავს ერის ზნეობრივ დაქვეით-ებაში. საქართველოს დაცემის მიზეზებს ჟამთააღმწერელი ხედავს თვით საქართველოს ცხოვრებაში. აღწერს ლაშასა და რუსუდანის დროს სამეფო კარისა და ხალხის, მისი თვალსაზრისით, უდარდელ, მიშვებულ ყოფას და ამხელს გავრცელებულ "უწესობებს", "შურს", "უსამართლობას". ჟამთააღმწერელის თქმით, ლაშა-გიორგის დროს ქართველები მონღოლებთან ბრძოლაში დამარცხდნენ "ცოდვათა ჩვენთა ურიცხვთა გამო" გამოწვეული ღვთის რისხვის შედეგად.

ჟამთააღმწერელი ყოველ ისტორიულ ფაქტს ზნეობრივი კუთხით განიხილავს. ყველაზე მეტი ცოდვა და მადლი კი, ცხადია, მეფეს მოეკითხებოდა. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყუ-რადღებას იპყრობდა ლაშა გიორგის (გიორგი IV-ის) მოღვაწეობა. მი-

[12] აბუსერიძე ტბელი. სასწაულნი წმიდისა გიორგისანი. წიგნი: ქართული პროზა. ტ.3. შემდგ რევაზ თვარაძე. თბ., 1982, გვ.14

[13] აბუსერიძე ტბელი. სასწაულნი წმიდისა გიორგისანი. წიგნი: ქართული პროზა. ტ.3. შემდგ რევაზ თვარაძე. თბ., 1982, გვ.16

სი მარცხი თუ პირადი ნაკლი განსაკუთრებით რელიეფურად ჩანდა თამარის ბრწყინვალე ეპოქის ფონზე.[14]

2.2. ღმერთის მიერ თავისი ერის დასჯა ცოდვების გამო

ჟამთააღმწერელთან კვლავ წინა პლანზე გამოდის დავითის ისტორიკოსის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ აზრი დავიწყებული კონცეფცია, რომლის თანახმადაც ღმერთი თავის ერს სჯის მისი ცოდვების გამო. საქართველოში საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქრისტიანული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის თანახმად, ყველა ძლიერი ქართველი მეფის გამარჯვება ერთმნიშვნელოვნად მიეწერება ამ მეფეთა სათნოებას და ქრისტიანული ცხოვრების წესს. ამისათვის ღმერთი მას სანაცვლოდ აძლევს გამარჯვებებს. მაგრამ როგორ აიხსნას დამარცხებები? ღმერთი არ შეიძლება იყოს არაქრისტიანების მხარეს. ქრისტიანულ სახელმწიფო იდეოლოგიას უნდა განემარტა, რანაირად შეიძლება ღმერთი ურწმუნო ერს დასაპყრობად აძლევდეს ლამის მთელ ქვეყნიერებას, მათ შორის თავის რჩეულ ერს, ქართველებს. ჟამთააღმწერელს, ანუ ქრისტიანულ იდეოლოგიას ამაზე შემდეგი პასუხი აქვს: ქართველთა ნებისმიერი მარცხი მხოლოდ მათი ცოდვებიდან შეიძლება მოდიოდეს.[15]

ჟამთააღმწერელი უბედურების მიზეზს ხედავდა არა მტრის სიძლიერეში, არამედ საკუთარ მანკიერებაში. მისთვის ქართველთა ცოდვები იყო ის წინაპირობა, რამაც დაგვაძაბუნა. ჟამთააღმწერლისათვის მონღოლთა სიძლიერე კი არ არის საშიში, რამდენადაც თანამემამულეთა ზნეობრივი დაცემა და შინააშლილობა. ყოველი უბედურება გააზრებულია როგორც ცოდვის საზღაური: „მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩვენთათვის მიეცა ყოველი ქვეყანა“.

---

[14] რ.კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები. I, თბ., 1982, გვ.90.

[15] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.63

შური, ამპარტავნობა, განკერძოებისა და განდიდების ტენდენცია სახელმწიფოს ერთიანობის რღვევის წინაპირობა გახდა.[16]

ჟამთააღმწერელთან ლაშა-გიორგის და რუსუდანის დახასიათება დაახლოებით ერთნაირია. მისი კონცეფციის თანახმად, როგორც ლაშა-გიორგის დროინდელი ცოდვების შედეგი იყო მონღოლების შემოსევა, ასევე რუსუდანის დროს დამკვიდრებულ წესებს ღმერთის მიერ სასჯელად მოჰყვა ხვარაზმელების გამოჩენა.[17]სწ

თუმცა, ჟამთააღმწერელი მარტო მეფეების დადანაშაულებით არ იფარგლება და ზოგადად ქართველთა ცოდვებზე აკეთებს აქცენტს:

"უმეტესცა მძვინვარენი განსაცდელნი აღიძრვოდეს საქართველოსა საზღვართა უკეთურებისათვის მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა მიდრკა სიბოროტეთა. რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ვინათგან თვით მღვდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება: ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა, ვითარ ოდესმე ძენი ბენიამენისნი. ვითარ იგინი მიეცნეს მოსასრველად, ეგრეთვე ესენი აქა შინა მისცნა ღმერთმან ნათესავნი ქართველთანი მოსასრველად მსგავსად ძეთა ბენიამენისთა".[18]

ჟამთააღმწერელი აღწერს ჯალალედინის მიერ თბილისის აღებას, რაც შედარებულია რომაელთა მიერ იერუსალიმის განადგურებასთან. ამ ანალოგიას წმინდა მსოფლმხედველობითი ხასიათი აქვს. ებრაელების მსგავსად, ქართველებზეც ცოდვების გამო მოიწია ეს სასჯელი, რადან ღმერთი თავის რჩეულ ერს ცოდვების გამო სჯის.[19]

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტიც, რაც იმდროინდელ ქართველთა ცნობიერებისათვის უმნიშვნელო სულაც არ იყო. მონღოლები მხოლოდ იარაღია ქრისტეს ხელში. ჟამთააღმწერე-

---

[16] რ. ბარამიძე. სახელმწიფოებრივი ცნობიერება და ზნეობრივი იდეალი. თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2018, გვ.210

[17] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.64

[18] ქართლის ცხოვრება, II, გვ.186

[19] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.66

ლი იმასაც მოგვითხრობს, რომ ჩინგიზ-ყაენს ქრისტეს ხილვა ქონდა.[20] მონღოლები რელიგიის მიმართ დიდხანს ინდიფერენტულად იყვნენ განწყობილნი და თუ არ ჩავთვლით საქართველოს წინააღმდეგ ომს, ძირითადად მუსლიმურ სახელმწიფოებს ებრძოდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქრის მონღოლებთან ერთად ბრძოლა მთელი XIII საუკუნის განმავლობაში და მონღოლებთან მეტ-ნალებად უმტკივნეულო მორიგება სწორედ მონღოლების მიერ ქრისტიანობისადმი შემწყნარებლობამ და მუსლიმური ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა გამოიწვია.[21]

საინტერესოა, რომ ქართველთა ჯარმა, მართალია მონღოლების მხარდამხარ, მაგრამ მაინც შეძლო იერუსალიმის აღება. 1300 წელს მამლუქთა ჯარის დამარცხების შემდეგ, რაშიც დიდი წვლილი ქართველებსაც მიუძღოდათ, ყაზან ყაენმა იერუსალიმი ქართველებს გადასცა, მაგრამ ქართველებმა მხოლოდ ერთი წლით შეძლეს იერუსალიმის შენარჩუნება. ყაზან ყაენის დროსაც კი ომებში ქართულ არმიას წინ ჯვარი მიჰქონდა.[22]

2.3. დავა ლაშა-გიორგის პიროვნების გარშემო

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ლაშა-გიორგის პიროვნების შეფასების გარშემო "დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა სხვადასხვაობა ყოფილა". მთელი XIII საუკუნის მანძილზე ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ბანაკად გაყოფილი ჩანს და ლაშა-გიორგის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა არ დამცხრალა.[23]

---

[20] ჟამთააღმწერელი იმასაც აღნიშნავს, რომ ჩინგიზ-ყაენს მისი მმართველობის დასაწყისში ქრისტე გამოეცხადა და ასწავლა "სამართალი, სჯული, სიწმიდე და სიმართლე, ტყუილისა, პარვისა და ყოვლისა ბოროტისაგან განშორება, და რქვა: თუ მცნებანი ესე დაიმარხნე, ყოველი ქვეყანა შენთვის და ნათესავისა შენისათვის მიმიცემიეს. წადი და აღიღე ყოველი ქვეყანა, რაოდენი გეძლოს!" (ქართლის ცხოვრება, II, გვ.162)

[21] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.64

[22] ა.თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბ., 2004, გვ.133

[23] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1949, გვ.21.

ჟამთააღმწერელის დახასიათებით, ლაშა იყო "ლაღი, ამპარტავანი, თავხედი: თვითბუნება, - ... სახიობის მოყუარე, ღვინის მოყუარე და გემოთ მოყუარე".[24] ლაშა გიორგიმ, ჟამთააღმწერლის გადმოცემით, თავი მოუყარა სამეფოს კარზე ისეთ პირებს, რომლებიც "განძღეს და იშუებდეს და უწესობათა მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა ყოფის ღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი".[25] ყოველივე ამის გამო მას ჩამოშორდნენ ძველი დამსახურებული მოღვაწენი, მათ შორის კათალიკოსი და ივანე ათაბაგი. ყოველივე ამის შედეგად "აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოოხრებისანი".[26] უზნეობა პოლიტიკური კრახის საფუძველი გახდა.

სავარაუდოა, რომ ეს თვალსაზრისი ასახავს ჟამთააღმწერლის პერიოდში საქართველოში გაბატონებულ შეხედულებას, თუმცა არსებობდა საწინააღმდეგო თვალსაზრისიც... საპირისპირო პოზიცია ჩვენამდე მოღწეული თხზულებებიდან ჩამოყალიბებულია ფარსადან გორგიჯანისძესთან (XVII ს. ბოლო) და იოანე ბატონიშვილთან (XIX ს. დასაწყისში). ისინი ლაშა-გიორგის წარმოადგენენ არა მარტო გულადი მეომრის სახით, არამედ როგორც თავმდაბალ, ღვთისმოშიშ, სამართლიან ადამიანს, ქვეყნის ჭკვიან და ენერგიულ გამგებელს.

3. ქართული პატრიოტიზმი

3. 1. აუტანელი მარცხის განცდა

ძლიერების საუკუნოვანი პერიოდის შემდეგ მით უფრო აუტანელი იყო მარცხისა და დამცირების ატანა, რაც საქართველოს ამ პერიოდში დაატყდა თავს. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ევროპელი მოგზაურის გუილიომ რუბრუკვისის ცნობა, რომელიც 1255 წელს

[24] ქართლის ცხოვრება, II, გვ.156-157
[25] ქართლის ცხოვრება, II, გვ.157
[26] ქართლის ცხოვრება, II, გვ.157

იმყოფებოდა საქართველოში. იგი გაეცნო ზაქარია მხარგრძელის შვილს მანდატურთუხუცეს შანშეს და მის ახალგაზრდა ვაჟს ზაქარიას, რომლის თაობაზეც იგი საფრანგეთის მეფეს ლუი IX აუწყებს: "ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია, რათა ის თქვენს სამსახურში მიგეღოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ, თუმცა ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მათი უღლის ქვეშ".[27]

ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელი უცხოეთში არ წასულა და დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. იგი დავით VII ულუს მიემხრო და შემოსეულ მტერს აუჯანყდა, მონღოლებმა ურჩობისათვის 1261 წ. სიკვდილით დასაჯეს.

3. 2. ახალი სახის გმირები: ცოტნე დადიანი და დემეტრე თავდადებული

პატრიოტიზმითაა გამსჭვალული ჟამთააღმწერელის თხზულება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ჟამთააღმწერლის და მისი პატრიოტული განწყობის შედეგად შთამომავლობას დარჩა საერთო ეროვნულ გმირებად ცოტნე დადიანი და დემეტრე II.[28]

ქვეყნის ძნელბედობის დროს, როდესაც ადამიანის მიერ მთელი ცხოვრების ღირსეული და უმწიკვლო გავლა ძნელია, ამავე დროს კი როდესაც ყოველი ადამიანი ძვირფასია ქვეყნისთვის, ჟამთააღმწერელი ყველას უნარჩუნებს გმირად გახდომის შანსს - არა აქვს მნიშვნელობა რას აკეთებდი ცხოვრების მანძილზე, საკმარისია თუნდაც ერთი ღირსეული ნაბიჯი და შეიძლება ქვეყანამ გმირად გაღიაროს. ცოტნე დადიანის შესახებ მემატიანე არაფერს გვეუბნება გარდა მისი ერთი მოქმედებისა. დემეტრე II-ის მთელ ცხოვრებას თუ გადავხედავთ, ვერ ვიტყვით რომ ის ღირსეულად ცხოვრობდა, მაგრამ

---

[27] გ,რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თბ., 1942, გვ.174.

[28] ვ.კიკნაძე. 1989, გვ.159.

სიცოცხლის ბოლოს მან გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომ ქვეყანამ გმირად შერაცხა.

დემეტრე II-მ არ გაიზიარა სამეფო დარბაზის რჩევა, არ წასულიყო მონღოლთა ურდოში, სადაც მას ყაენი შეთქმულებაში მონაწილეობაში სდებდა ბრალს და სიკვდილი ელოდა. მეფეს შეეძლო თავის გადარჩენა, მაგრამ მან სხვანაირად განსაჯა და თავის გაწირვით სამშობლოს აოხრებისაგან გადარჩენა არჩია:

„თუ არა წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს... და დავიცვა თავი ჩემი..., რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილს მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსვრიან, და უკეთუ წავიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრე ვგონებ: ... რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკუდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან, აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღვთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად გადარჩეს... მეწყალვის უბრალო ერი... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათის ჩემისა... (რამეთუ) უფროს ამისსა სიყუარული არ არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისთვის“.[29]

წინათ ქრისტესათვის დებდნენ თავს ქართველნი, რაც ერისათვის თავდადებასაც გულისხმობდა. ახლა დემეტრე მეფემ ერისათვის დასდო თავი, რაც ქრისტესთვის თავდადებასაც ნიშნავდა. დემეტრე მეფის თავდადებამ ქვეყანა აოხრებას გადაარჩინა და სულიერად აამაღლა.[30]

3.3. ჟამთააღმწერელი: ქართველების დახასიათება

სამშობლოს სიყვარული ჟამთააღმწერელს ავიწყებინებს ქართველების იმ ავ თვისებებსაც კი, რომელნიც, მისივე აზრით, გახდა

[29] ქართლის ცხოვრება, II, გვ.287-288

[30] მ. გაფრინდაშვილი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. თბ. „მეცნიერება“, 2002, გვ.314

მიზეზი საქართველოს აოხრებისა. ჟამთააღმწერელი თვით მონღოლებს აღიარებინებს ქართველთა კარგ თვისებებს და გამორჩეულობას: "ქართველთა აქუს სჯული კეთილი და ტყუვილსა ელტვიან, მწამლველი არცა თუ სახელიდების მათ შორის"; "არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელ და არცა სჯული უცთ ცუდისა საქმისა ქმნად". ცოტნე დადიანის ღვაწლის გამო კი მონღოლებს ათქმევინებს: "ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან", რომ მზად არიან დასდონ "სული თვისი მოყუასთათვის", "არა არს სიცრუვე მათ შორის".

ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტსაც, რომ ჟამთააღმწერელი განსაკუთრებული სიყვარულით მესხეთის ამბებს და იქაურ ქართველთა დამსახურებას აღნიშნავს ხოლმე. ეს აიხსნება იმით, რომ მესხეთი მისი მშობლიური კუთხე უნდა იყოს. თავისი კუთხის სიყვარული ყოველთვის აშკარად გამოსჭვივის, მაგრამ ეს არასდროს არ ჩრდილავს საერთო ეროვნულ-ქართულ შეგნებას.[31]

3.4. ბექა მანდატურთუხუცესის სიტყვა

პატრიოტული თვალსაზრისით სამაგალითოა ჟამთააღმწერლის მიერ მოყვანილი ბექა მანდატურთუხუცესის სიტყვა, რომლითაც მას მიუმართავს თავისი ჯარისთვის, შემოსეულ თურქთა წინააღმდეგ გალაშქრებისას:

"ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო!... დიდმან და სახელგანთქმულმან, სკიპტრისა და პორფირის მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამხო ძლიერება თურქთა ნათესავისა", დავით აღმაშენებლის შემდეგ დღემდე (XIV საუკუნის დასაწყისი) თურქებს აღარ შევუწუხებივართო, - აღნიშნავს ბექა, ახლა კი კვლავ გამოჩნდნენ ჩვენს საზღვრებთან - "ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თა-

[31] ვ.კიკნაძე. 1989, გვ.158

თართასა და კუალად პირნი და თავნი საქართველოსანი განდგომილან"-ო.[32]

საყურადღებოა, რომ თითქმის მთლიანად დამოუკიდებელი ერთეულის - სამცხის გამგებელი, მეფეს სიძლიერით რომ არ ჩამოუვარდებოდა და რომელსაც, თითქოს, ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებაზე უნდა ეფიქრა, წუხს, რომ მისი დროის საქართველოს აღარ ჰყავს დავით აღმაშენებლის მსგავსი მეფე (ამ დროს გიორგი ბრწყინვალე ჯერ მცირეწლოვანია), რომ საქართველოს მეფის უფლებები დამცრობილია მონღოლთა ბატონობის გამო, რომ წუხს საქართველო დასუსტებულია.

3.5. კუთხურობის მომძლავრება

მაგრამ ძნელბედობის და ქვეყნის ერთიანობის დარღვევას არ შეიძლება თავისი დაღი არ დაესვა ეროვნულ თვითშეგნებაზე. შესამჩნევია კუთხურობის მომძლავრება. ასეთი ვითარება აისახა ამ პერიოდის ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ ნაშრომში "ძეგლი ერისთავთა", რომელიც ქსნის ერისთავების საგვარეულო მატიანეა და დაწერილია XIV საუკუნის მეორე ნახევარში, ავგაროზ ბანდაისძის მიერ. როგორც ივ.ჯავახიშვილი აღნიშნავს, "ძეგლი ერისთავთა" ავტორის "აზროვნება ვიწროა და ცალმხრივი: მისი თვალთა ხედვის ასპარეზი ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს ვერ გადასცილებია... საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქო არ არსებობდა და სახელმწიფო-სამოქალაქო ცხოვრების ამბებისათვის ყური მოყრუებული ჰქონია"

ასეთი ლოკალური მატიანეების წერის ტრადიციის გამომუშავებისთვის ხელსაყრელ პირობებს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პერიოდები ქმნიდა, როდესაც ცალკეული დიდი ფეოდალები თავიანთი განდიდების ისტორიულ გენეზისს არა "მეფის წყალობაში", არამედ წინაპართა ბრწყინვალე საქმიანობაში ხედავდნენ, რომ დამოუკიდებლობის შარავანდედით შეემოსათ არა მხოლოდ აწმყო,

[32] ქართლის ცხოვრება, II, გვ.311-312

არამედ წარსულიც და თავიანთი პოლიტიკური თავისთავადობის-თვის ისტორიული დასაბუთება და ლეგიტიმური საფუძველი მოეძ-ებნათ. [33]

3.6. აზროვნების გაორება და მტრის მსახურება, მედროვეობა

მონღოლთა ხანგრძლივ ბატონობას ქართველ დიდებულთა აზროვნების გაორება მოჰყვა. XIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებაში გაჩნდა დამპყრობლისადმი სამსახურისა და საკუთარი მეფისადმი მორჩილების გაორებული თვალსაზრისი.[34] ისინი მეფესაც მსახურობდნენ და მისი გვერდის ავლით უშუალოდ დამპყრობ-ლებთანაც ამყარებდნენ კონტაქტს. ასეთ პირობებში შეეძლოთ მტრის იმედით საქართველოს მეფის მორჩილებაზე უარი ეთქვათ.

სამცხის მთავარი სარგის I ჯაყელი მეფე დავით VII გიორგის ძის ერთგული თანამებრძოლი იყო, მაგრამ მონღოლებსაც ერთგულებდა და მათგან კარნუ-ქალაქი მიიღო სამართავად. მეფეს ეს არ მოეწონა და „სარგისი გულკლებული წავიდა სამცხეს“.[35] ამ დროიდან, ანუ 1266 წლიდან მონღოლები უშუალოდ მართავდნენ სამცხეს.

ქართველ დიდებულებს შეიძლება საქართველოს მეფე გაეკრიტიკებინათ, მაგალითად მეფე დავით ულუს „სიტყვათა კეთილთა და ბოროტთა ორთავეს მალემრწმენად“ მიიჩნევდნენ, სამაგიეროდ მონღოლთა ყაენებს აქებდნენ მაგალითად აბაღა-ყაენს (1265-1282), რომელიც იყო „კაცი კეთილი, უხვი, მოწყალე, ტკბილი,

---

[33] ი. სურგულაძე. "ძეგლი ერისთავთა" და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოს წარ-მოშობის ზოგიერთი საკითხისათვის, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ.220

[34] მ. გაფრინდაშვილი. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია. თბ. „მეცნიერება“, 2002, გვ.313

[35] ქართლის ცხოვრება, II, გვ.212, 222. 232

მდაბალი, განმკითხველი (უღონოთა და გლახაკთა), სამართლის მოქმედი, გლახაკთ მოწყალე და შემნდობელი“.[36]

მონღოლთა მსახურებაში გადასული დიდებულებს შეიძლება საქართველოს მეფის მორჩილებაზე უარი ეთქვათ. მაგალითად ბექა ჯაყელის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში არ არის მოხსენიებული მეფე უზენაესი მმართველის სახით.

როდესაც დავით ულუმ მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო, დარბაზი მოიწვია. დარბაზის უმრავლესობა მეფეს არ დაეთანხმა. მეფე აჯანყდა, ხოლო დიდებულთა უმრავლესობა განუდგა და მონღოლთა სამსახურში დარჩა. მეფემაც ამის ნება მისცა მათ.[37]

4. "ყოველი საქართველოს" აღდგენის მცდელობანი

XIII ს. შემდგომი ხანის ქართველობისთვის წარსული სულ უფრო სანატრელი და მიმზიდველი ხდება. "ქვეყნის პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკური მორჭმულობა, კულტურული მიღწევანი - სულ ყველაფერი წარსულში იყრის თავს _ "თამარის" გარშემო.[38]

თამარის ხანა პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა XIV-XV სს. ყველა დიდი მოღვაწისათვის, როგორიც იყვნენ გიორგი V ბრწყინვალე და ალექსანდრე I დიდი.[39] სწორედ ამ ორი მეფის მოღვაწეობაში თითქოსდა მოხერხდა დასახული მიზნის მიღწევა.

მონღოლთა გიორგი V დროს აღსდგა ერთიანი ქვეყანა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ თამარის სახელმწიფოს ხელმეორე გამოცემა

---

[36] ქართლის ცხოვრება, II, გვ.267

[37] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები IX, თბ., „მეცნიერება“. 1979, გვ.222-223

[38] ნ.ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ.III, გვ.320.

[39] ი.ანთელავა 1980, გვ.231

გიორგი ბრწყინვალის რედაქციით.[40] ამიტომ მას სრული უფლება ჰქონდა ამაყად განეცხადებინა: "ყოველგნით უცილობლად ქონებასა შინა სამეფოისა ჩვენისასა და უცილობლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა ვიყავნით".[41]

ალექსანდრე I თავის სიგელებში ასევე ხაზგასმით აღნიშნავს: "მე... ორისავე სამეფოსა მტკიცედ, შეუჭრეთლად და შეურყევლად მპყრობელმან აფხაზთა და ქართველთა მეფეთა მეფემან ალექსანდრე". მის მიერვე დაწესებული იყო სპეციალური გადასახადი "ყოველთავე საქართველოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად", რაც, მისივე თქმით, წარმატებით იქნა გადაჭრილი.

ალექსანდრე დიდის სიგელი: "ჩვენი მეფობის დაწყებამდე მუდამ ტყვევნა და რბევა იყო საქართველოში და მოოხრდა და იავარ იქმნა... ვიწყე ბრძოლა ურჯულოებთან და გავაძევე ჩვენი საზღვრებიდან და ქრისტიანები ფრიად მშვიდობასა და მყუდროებას მიეცნენ... ვინებე საქართველოს ყველა ციხეთა და საყდართა აღდგენა... ამისათვის საქართველოში მცხოვრებ თითო კომლზე ორმოცი თეთრი განვაჩინე და 128 ქორონიკონამდე (1440 წ.) საქართველოში რაც კი ციხეები, საყდრები და მონასტრებია, ყველა სრულად აღვადგინე და შევამკე. აწ ჩვენივე მეფობაში ეს დაწესებული გადასახადი ამოგვიკვეთია".

თუმცა, "ძველი საქართველოს" აღდგენის შესახებ განცხადების გაკეთების საფუძველი უფრო გიორგი ბრწყინვალეს აქვს. რომ არა თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები, საქართველოს ისტორია შეიძლება სხვაგვარად წარმართულიყო. ალექსანდრე დიდის დროინდელ საქართველოს კი ძალების მოსაკრებად მშვიდობიანობის ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროებოდა.

არათუ თამარის ხანის საქართველოს აღდგენა ვერ მოხერხდა, არამედ საქართველოს ერთიანობაც კი ვერ შენარჩუნდა, რაც მთავარია, დროებით უარი ითქვა კიდეც საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაზე.

---

[40] ლ.ტუხაშვილი, 1994, გვ.267

[41]"ძეგლის დება", გვ.263

4.1. საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლაზე ხელის აღება - 1490 წლის სამეფო დარბაზი

ვახუშტი ბატონიშვილს დაცული აქვს საგულისხმო ცნობა კონსტანტინე მეფის მიერ 1490 წ. მოწვეული სამეფო დარბაზის შესახებ: "შემოკრიბა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და განიზრახვიდა თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა".

დიდებულებს მეფისთვის ერთხმად ურჩევიათ, დროებით ხელი აეღო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაზე: "ვინადგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არ განგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ თუმცა მერე (მძლე?) ვექმნეთ ერთსა, არღარა მიგუცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს მეფობასავე შენსა". მეფემაც, "იხილა რა ესე ვითარება... ამისთვის აღირჩია მშვიდობა".

ამრიგად, 1490 წლის დარბაზის გადაწყვეტილებამ იურიდიულადაც გააფორმა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა.

5. საერთაშორისო ურთიერთობები და მოკავშირის ძიება

საქართველოს ძლიერების დაცემამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოსთვის ტრადიციული მოკავშირის ძიების პრობლემა. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველებმა დახმარებისთვის მიმართეს ვატიკანს (მეფე რუსუდანისა და ივანე ათაბაგის ეპისტოლეები ჰონორიუსისადმი). მიზანი ანტიმონღოლური საერთაშორისო კოალიციის შექმნა იყო, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

ჯვაროსნული ლაშქრობები 1270 წ. საერთოდ შეწყდა. ევროპელებმა ხელი აიღეს პალესტინაში ქრისტიანული სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის ბრძოლაზე.

გიორგი ბრწყინვალის დროს ქართული დიპლომატია აქტიურობს როგორც დასავლეთის (ტრაპიზონი, ბიზანტია), ისე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით (პალესტინა, ეგვიპტე). ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ხდებოდა თურქული საფრთხის განეიტრალება, რომელიც, საქართველოსთან ერთად, ბიზანტიასაც აწუხებდა და ეგვიპტესაც.

ალექსადრე I-ის დროს საქართველო მსოფლიო პოლიტიკაშიც აქტიურად ჩართული აღმოჩნდა. ამ პერიოდში ევროპის ქვეყნების წინაშე მწვავედ იდგა თურქ-ოსმალთა გაძლიერებისა და მისი აგრესიისაგან ბიზანტიის გადარჩენის საკითხი. 1402 წელს თემურლენგთან განცდილი მარცხის შემდეგ ოსმალთა სახელმწიფო მალე გაიმართა წელში და კვლავ განაახლა შეტევა კონსტანტინეპოლის დასაპყრობად. დასავლეთ ევროპელთა და აღმოსავლეთ ქრისტიანთა გაერთიანებას ორ ქრისტიანულ ეკლესიას შორის დაპირისპირება აფერხებდა.

5.1. ქართული ეკლესიის პოზიცია, უარი საეკლესიო უნიაზე

გადაწყდა მოეწვიათ მსოფლიო საეკლესიო კრება. რომელიც აღმოფხვრიდა საეკლესიო წინააღმდეგობას. რომის პაპი ევგენი IV ცდილობდა გაჭირვებაში ჩავარდნილი მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებას, იმპერატორი იოანე VIII კი იძულებული იყო დათმობებზე წასულიყო.

1437 წელს იტალიის ქალაქ ფერარაში გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელიც შემდეგ ფლორენციაში გაგრძელდა.[42] მასში მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII, აგრეთვე აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლები. ქართული ეკლესიის დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ გრიგოლ და იოანე ეპისკოპოსები.

1439 წლის ივლისში მართლმადიდებლური ეკლესიების წარმიომადგენელთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანების (უნიის) აქტს. ამ აქტს ხელი მოაწერა რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემაც. არ მოაწერა ხელი მხოლოდ ოთხმა მღვდელმთავარმა, მათ შორის საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა. საქართველოს ეკლესია, ქვეყნის მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ჯერ კიდევ სარგებლობდა საკმაოდ დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით.

ქართველ პოლიტიკოსთა უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკებთან უნიისადმი გამოწვეული იყო რომის ეკლესიის პოლიტიკით. რომი არ ცნობდა ეროვნული ეკლესიების თავისებურებებს და ნებას არ აძლევდა მათ მღვდელმსახურება ეროვნულ ენაზე ეწარმოებინათ. ამას გარდა, რომის პაპი უნიას ესწრაფოდა აღმოსავლეთ ეკლესიებში თავისი პოლიტიკური ჰეგემონიის დასამყარებლად.[43]

ქართული ეკლესიის მტკიცე პოზიციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით რუსეთში. მოსკოვში დაბრუნებული მიტროპოლიტი ისიდორე გადააყენეს და რუსეთის ეპისკიოპოსთა კრებამ უარყო ფლორენციის უნია, რუსეთში დაბრუნებული ფერარა-ფლორენციის კრების მონაწილე რუსეთის დელე-

---

[42] კრების სხდომები მწვავედ მიმდინარეობდა და თითქმის სამ წელიწადს გაგრძელდა და 1439 წლის ზაფხულში დასრულდა.

[43] საქართველოს ისტორია, ტ.II (XIII-XVIIIსაუკუნეები). ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით. თბ., თსუ, 2008, გვ.100

გაციის წარმომადგენლები ყველას მოუთხრობდნენ საქართველოს წარგზავნილების მტკიცე პოზიციაზე.

5.2. ბიზანტიის დაცემა და ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა

საქართველოსთვის, ისევე როგორც იმდროინდელი მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს მოვლენას 1453 წელს კონსტანტინეპოლის თურქების მიერ დაპყრობა წარმოადგენდა.[44] დასავლეთში მაშინვე წარმოიშვა ანტიოსმალური კოალიციის მოწყობისა და კონსტანტინეპოლის განთავისუფლების იდეა. ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ინიციატორად, ჯვაროსნული ლაშქრობების მსგავსად, რომის პაპი გამოვიდა.

მოკავშირის ძიების ერთ-ერთი უკანასკნელი სერიოზული პროექტი იყო 1459-1461 წლებში ქართველი მეფე-მთავრების მცდელობა _ რომის პაპისგან წამოსული იდეა კონსტანტინეპოლის გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის თაობაზე გადაექციათ გაცილებით უფრო ფართომასშტაბიანი ამოცანის გადაწყვეტის საფუძვლად _ მთლიანად გაენადგურებინათ ოსმალთა მზარდი აგრესიული სახელმწიფო. ოსმალეთზე ორმხრივი შეტევა უნდა განხორციელებულიყო: ქართველების მხრიდან ანატოლიაში, ხოლო ევროპელების მხრიდან საბერძნეთსა და შავიზღვისპირეთში, რათა იერუსალიმი საბოლოოდ განთავისუფლებულიყო "უსჯულოთაგან".[45]

ქართველებმა თავის მხრივ შექმნეს აღმოსავლეთ ქრისტიანული ქვეყნების კოალიცია, რომელშიც ქართულ სამეფო-სამთავროებთან ერთად ტრაპიზონის კეისარი და მცირე სომხეთის მფლობელი, ასევე

---

[44] 1450 წელს საქართველოში ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის კონსტანტინე XI პალეოლოგის ელჩი ჩამოვიდა, რომელიც მეფე გიორგი VIII-ს მისი ასულის ხელს სთხოვდა. ამ ქორწინებას განხორციელება არ ეწერა. 1453 წლის 29 მაისს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს და კონსტანტინე XI ბრძოლაში დაიღუპა. ბიზანტიის იმპერატორის სარძლო მოგვიანებით დააქორწინეს არაგვის ერისთავის, ვამიყ შაბურის ძის ვაჟზე.

[45] ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ.295

სპარსეთის გამგებელი უზუნ ჰასანიც შედიოდნენ. მაგრამ ქართველთა ელჩობა ევროპაში უშედეგო აღმოჩნდა. დასავლეთ ევროპამ ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი მომენტი აღმოსავლეთ ქრისტიან ქვეყნებთან ერთად ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლისა, რომლის მნიშვნელობაზეც მათ ყურადღებას ყვარყვარე სამცხის ათაბაგი ამახვილებდა: "თუ ბრძოლას არ დაიწყებთ, შემდეგში, რაც უფრო მეტი დრო გაივლის, ოსმალები ისე გამაგრდებიან, რომ ვერაფერს დააკლებთო".[46]

კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ თურქებმა 1461 წელს ტრაპიზონის იმპერია დაიპყრეს, 1475 წელს კი ყირიმის სახანოც დაიქვემდებარეს. ამგვარად ისინი მთელ შავ ზღვაზე გაბატონდნენ. საქართველომ დაკარგა ევროპასთან უშუალო ურთიერთობის შესაძლებლობა. XVIII ს. ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თურქთა მიერ კონსტანტინეპოლის აღებას საქართველოსთვის "დიდ ბოროტებას" უწოდებს.

5.3. ესპანეთთან დაკავშირების მცდელობა

1492 წელს ესპანეთში დამთავრდა რეკონკისტა - არაბთა უკანასკნელი საყრდენის გრენადის აღებით მთელი იბერიის ნახევარკუნძული განთავისუფლდა. ეს ამბავი ქართველმა ელჩმა მონაზონმა ნილოსმა იერუსალიმში გაიგო ესპანელი ელჩებისაგან. ნილო 1493-1494 წლებში ეგვიპტის მამლუქ სულთანთან იყო მივლენილი. მაშინ საქართველოსა და ეგვიპტეს შორის ანტიოსმალური კავშირი გაფორმდა. სამშობლოში მომავალი ნილო იერუსალიმში ესპანეთის ელჩებს შეხვდა და საქართველოში მიიწვია.

თბილისში ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ ესპანეთის ელჩებს დედოფალ იზაბელასთან წერილი გაატანა და ნილოსიც გააყოლა.[47] საქმე ეხებოდა ესპანეთის ჩართვას ანტიოსმალურ კოალიციაში. ქართლის მეფე და ეგვიპტის სულთანი კონსტანტინეპოლზე სახმელეთო დარტყმას განახორციელებდნენ, ესპანეთს კი საზღვაო ფლოტი უნდა

---

[46] მ.თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902, გვ.57.

[47] ელჩები პოლონეთის გავლით გაემგზავრნენ ევროპისაკენ

გამოეგზავნა. ეს ინიციატივა მარცხით დამთავრდა, რადგანაც ესპანეთი ოსმალეთთან ომით არ იყო დაინტერესებული.[48]

კონსტანტინე მეფის წერილიდან:

"რა იქმნა სიდიადე და დიდება ქრისტიანეთა, რა მოუვიდა მათ პატივსა და იმედს, დიდსა და სახელოვან ქალაქს კონსტანტინეპოლეს, სად არიან მართლმადიდებელი მეფეები, მათი სიხარული და განცხრომა? სიხარული მწუხარებად და ვაებად შეიცვალა, დიდება დამცირებად. ოდესღაც გაბრწყინებულნი ეხლა წყვდიადში ვიმყოფებით. ოდესღაც ჩვენ პატივისცემით მოსილ ხელმწიფესთან გვქონდა ხოლმე ურთიერთობა, ეხლა მწუხარებისა და ცრემლების გარდა არასა ვხედავთ. ჰოი, რაოდენ სიკეთეს არის მოკლებული ნათესავი ჩვენი? სად არიან ტრაპიზონის ხელმწიფეები ან სხვები, რა მოუვიდა სერბთა ქვეყანას და მრავალ სხვასაც.

მაგრამ ვიცით და ეხლა მტკიცედ ვიმედოვნებთ, რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენ ძლევამოსილებას მოგვანიჭებს აგარის უწმინდურ ნათესავზე. ეგვიპტის სულტანთან ამავე მიზნით გაგზავნილმა ჩვენმა დესპანმა შინისაკენ მომავალმა იერუსალიმში თქვენი დესპანები ნახა, რომელნიც თან წამოიყვანა. მათგან გაგონილმა ახალმა ამბავმა თქვენი გამარჯვების შესახებ დიდი სიხარულით აგვავსო და იგივე ჩვენი დესპანი ეპისტოლითურთ გამოვისტუმრეთ თქვენთან. მაგრამ იმის გარდა, რაც ამ ეპისტოლეშია დაწერილი, ჩვენი დესპანი ბევრს სხვასაც რასმე პირადად სიტყვიერად მოგახსენებთ იმიტომ, რომ გზაზე მრავალი მტერია, უსჯულო სპარსელები ხომ, როგორც იცით, უწყალოდ გვტანჯავენ. ამ ჩვენს მტრებს ბევრი უბედურება მოუყენებიათ ჩვენთვის და სამს რამესა გვთხოვენ ხოლმე: გადაიხადეთ დიდი ხარკი, იბრძოლეთ მუდამ ჩვენთან ერთად და გამაჰმადიანდითო. ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ჩვენ კი ტრაპიზონის, კონსტანტინეპოლის და სხვა ქრისტიანეთა დაცემის

---

[48] თ.ქველიაშვილი. პოლონეთი და საქართველო ევროპის "დიდ საჭადრაკო დაფაზე" (XV საუკუნის II ნახევარი). თბ., 2005 გვ.82-83

შემდგომ მარტოდ-მარტონი და სრულიად დამდაბლებულნი დავრ-ჩით. მაგრამ აწ ურიცხვნი ერნი აგარიანთა, სპარსთა, თურქთა და არ-აბთა, შერცხვენილ-აღშფოთებულნი არიან. დროც მოახლოებულია. სახელითა ღვთისათა გევედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონ-სტანტინეპოლზე გამოილაშქროთ. აიღეთ ფარად უფლისა ჩვენისა იე-სო ქრისტეს ჯვარი და მაცხოვარი ჩვენი თქვენს სურვილს ხელს შეუწ-ყობს. მეც პირადად შვილებითურთ და მთელი ლაშქრით, რომლის შეყრასაც შევსძლებ, დაბრუნდება თუ არა ჩემთან შენი დესპანი, არ დავიყოვნებ და შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები..."[49]

5.4. რუსეთთან დაკავშირების მცდელობა

1480 წელს რუსეთმა საბოლოოდ გადაიგდო თათარ-მონღოლთა ბატონობა. ამან გაზარდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. უფრო მეტიც. რუსეთის მმართველებმა თავიანთ ოფიციალურ იდეოლოგიად მიიღეს საეკლესიო წრეების მიერ წამოყენებული თეორია, რომ „მოსკოვი მესამე რომია“. ეს ნიშნავდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მართლმადიდებელი ხალხების მფარველობას თავის მისიად მიიჩნევდა.

ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის პირველი, ვინც ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან, კახეთის სამეფო იყო. 1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის - ალექსანდრეს ელჩობა. მათ დიდ მთავარ ივანე III-ს მიართვეს წერილი, რომელშიც ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთის დიდ მთავარს ქრისტიანული ქვეყნების მფარველს და სარწმუნოების სიმტკიცის იმედს უწოდებდა:

„დიდ მეფეს და ბატონს, დიდ მთავარს მდაბალი თაყვანისცემა. უწყებული იყავ, რომ შორეული ქვეყნიდან (მაგრამ) აზრით ახლოს მყოფი მდაბალი (მცირე) ყმა შენი ალექსანდრე სალამს (თაყვანს) მოგიძღვნი. ბრმათათვის სინათლევ, ლაჟვარდოვანი ცის ვარსკვლავო,

---

[49] ლ.ტუხაშვილი. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. წიგნი I. თბ., 1994, გვ.242.

ქრისტიანების იმედო, ჩვენი სარწმუნოების (სიმტკიცვ) ბურჯო, ყოვლად ბრწყინვალე ხელმწიფევ, ყველა ხელმწიფეთა თავშესაფარო. ყველა ხელმწიფეთათვის კანონო, ღატაკთა დასაყრდენო და მუსლიმანთათვისაც კი იმედო...“[50]

რუსი პოლიტიკოსებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უძველესი ქრისტიანული ქვეყნის მიერ რუსეთის ასეთი მისიის და უზენაესობის აღიარებას, ამიტომ კახეთის ელჩობას მოსკოვში სათანადო ყურადღებით მოეპყრნენ.

მალე ამ ელჩობას მეორე ელჩობაც მოჰყვა 1492 წელს. მოსკოვში ჩავიდა ალექსანდრე მეფის ელჩი სახელად მურატი. ქართველი ელ-ჩების მონათხრობის საფუძველზე რუსეთში შეიქმნა ლიტერატუ-რული ძეგლი „თქმულება დინარ დედოფალზე“, რომლის პროტოტი-პიც თამარ მეფე უნდა იყოს. მასში ასახულია საქართველოს ისტო-რიული წარსული და ბრძოლა ურწმუნო დამპყრობელთა წინააღმდეგ. უფრო გვიან ივანე IV-მ ყაზანზე ლაშქრობის დროს თავის ჯარს დინარ დედოფლის მაგალითი მოუყვანა.[51]

5.5. მფარველის ძიების დასაწყისი

საქართველოს დასუსტებასთან ერთად მოკავშირის პრობლემა თანდათან გადაიქცა მფარველის ძიებად. XVI-XVII საუკუნეებში მო-კავშირის პრობლემა მთლიანად შეიცვალა მფარველის ძიების პრობ-ლემით.

მოკავშირე „ძალის სესხებაა“, მოკავშირე პატარა ქვეყანას სჭირ-დება თავის სუვერენიტეტის დასაცავადმ, მაგრამ მოკავშირე დახმა-რების სანაცვლოდ ამ სუვერენიტეტის ნაწილსაც ითხოვს. მოკავში-რესთან ურთიერთობა თავისებური გარიგებაა, სადაც მხარეები თავისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ.

---

[50] ნ. კანდელაკი. ქართული საელჩო მჭევრმეტყველება. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“. თ., 271

[51] საქართველოს ისტორია, ტ.II (XIII-XVIIIსაუკუნეები). ნ. ასათიანის და გ. ჯამბურიას რედაქციით. თბ., თსუ, 2008, გვ.100

ქართულ სამეფო-სამთავროებს დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ მუსლიმურ სახელმწიფოებთან უხდებოდათ ბრძოლა, მოკავშირედ კი ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები ესახებოდათ. ოღონდ წარმოედგინათ, რომ ეს სახელმწიფოები ლამის უანგაროდ გაუწევდნენ საქართველოს დახმარებას და ფეხზე დადგომაში შეუწყობდნენ ხელს.